ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/216

ქ. თბილისი 04. 10. 2012

ფერეიდნელი ქართველების „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელ ინტენსიურ კურსებზე" ჩარიცხვის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების (ოქმი №3, 03.10.2012), ფერეიდნელი ქართველების: ხოსრო სიამიგორჯის, ჰოსეინ სადათის, ზაჰრა ასლანის, შაჰინ ასლანის, ჰოსეინ ხუციანის და მოჰამმად ჰაშემის განცხადებების (№2/347, 04.10.2012) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჩაირიცხონ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსების" მსმენელებად:
   1.1. ხოსრო სიამიგორჯი
   1.2. ჰოსეინ სადათი
   1.3. ზაჰრა ასლანი
   1.4. შაჰინ ასლანი
   1.5. ჰოსეინ ხუციანი
   1.6. მოჰამმად ჰაშემი
2. სწავლება და სასწავლო პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა დაევალოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს;

3. სასწავლო პროცესი დაიწყოს 2012 წლის 08 ოქტომბერს და მისი ხანგრძლივობა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) სასწავლო კვირით;

4. კურსების მსმენელთათვის სწავლა უფასოა;

5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე